სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 ოქტომბერი, 2023 წ

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/52

,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილების, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (MES 2 23 0001394168 18/10/2023), წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 25 ოქტომბრის N07-02/12 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. **,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის** დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2021 წლის 15 ივლისის N07-01/36 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, N1 დანართის **(წესის) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ბსუ-ში საქართველოს მოქალაქეებისთვის საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის წლიური საფასური შეადგენს 2250 ლარს (აკადემიურ წელში ასათვისებელი 60 კრედიტის საფასური), ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 ლარს. **უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის** და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის სწავლის წლიური საფასური საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და სამაგისტრო პროგრამებზე **(ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული პირებისთვის) შეადგენს 2250 აშშ დოლარს,** ხოლო სადოქტორო პროგრამაზე - 3000 აშშ დოლარს. ბსუ- ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის სხვა ოდენობა შეიძლება განისაზღვროს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამით ან/და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.“

2. გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესი“ და განთავსდეს იურიდიულ ცნობარში.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს (აკადემიურ საბჭოს, რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს), რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯ. კარალიძე**